



საკრობესტო აქციების მონიტორინგი

შუალედური ანგარიში

2020



ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: გიორგი ტყეშელაშვილი
რედაქტორები: ალექსანდრე მჭედიაძე
გიორგი კაკუბავა



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი	4
მეთოდოლოგია	4
შეკრებისა და გამოსატვის თავისუფლების საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი	6
1. დემონსტრანტების ქცევა აქციებზე	7
2. სამართალდამცველთა ქმედებები აქციებზე	7
3. სამართალდამცავთა აუცილებლობა და პროპორციული რაოდენობა	8
დასკვნა	9

შესავალი

წინამდებარე ანგარიშის მიზანია 2020 წლის საანგარიშო პერიოდამდე საქართველოში გამართული აქციების დროს იდენტიფიცირებული სამართალდარღვევების სამართლებრივი ანალიზი და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. დოკუმენტში განხილულია 2020 წლის 1 მარტიდან 1 აგვისტომდე თბილისსა და რეგიონებში, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებული პოლიტიკური შინაარსისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სხვა სახის საპროტესტო აქციების დაკვირვების შედეგები.

=== | 4

ზოგადი შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ 2019 წლისგან განსხვავებით, საანგარიშო პერიოდში გამართულ აქციათა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. დიდი ალბათობით, ეს განპირობებული იყო აქციებში მონაწილე აქტივისტთა/დემონსტრანტთა მცირერიცხოვანი რაოდენობით. ეს კი, თავის მხრივ, ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისგან მომდინარე საფრთხეების გამო, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო დაწესებული რიგი შეზღუდვებით იყო გამოწვეული. მათ შორის, შეიზღუდა შეკრებები და მანიფესტაციები¹.

მეთოდოლოგია

აქციების მონიტორინგს ახორციელებს 3 მონიტორი, რომლებმაც შესაბამისი ტრენინგები გაიარეს სპეციალურად მოწვეულ ეუთო-სდემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ექსპერტებთან². მონიტორები ყოველი აქციისა და სასამართლო მოსმენის შემდეგ აფიქსირებენ მიღებულ ინფორმაციას, რომლის შეფასება და ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება ხდება პროექტის ანალიტიკოსი-იურისტის მიერ.

მონიტორინგის ფარგლებში, ანალიტიკური დოკუმენტის მომზადებისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენს, აქციებისა და სასამართლო პროცესების დროს, მონიტორთა მიერ შემუშავებული პირადი ანგარიშები და საპროტესტო აქციების მსვლელობისას პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, სამოქალაქო აქტივისტებისა და მედია საშუალებების მიერ გადაღებული ფოტო და ვიდეომასალა.

აქციათა დაკვირვება, კორონავირუსის პანდემიის გამო, ასევე მიმდინარეობდა დისტანციურად სხვადასხვა ონლაინ-პლატფორმების Live Streaming-ის საშუალებით. დასაკვირვებელ აქციათა დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას მონიტორები სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის - სოციალური ქსელიდან Facebook-იდან იძიებდნენ, სადაც ორგანიზატორები გასამართ აქციათა შესახებ ინფორმაციას ავრცელებდნენ.

წინამდებარე დოკუმენტში შეფასებულია, რამდენად შეესაბამება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებული პროცედურები აღიარებულ პრაქტიკას და საერთაშორისო ვალდებულებებს.

¹იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0>.

²იხ. ინფორმაცია OSCE/ODIHR-ის ტრენინგის შესახებ.: <https://bit.ly/2Qmse8R>.

დაკვირვების ქვეშ მოქცეული აქციები

- 1) ოპოზიციური ძალების აქცია საქართველოს პარლამენტთან - (2020 წლის 18 თებერვალი, თბილისი);
- 2) აქცია „პროდუქტების რეალიზაციისა და შეზღუდვების მოხსნის მოთხოვნით - (2020 წლის 22 აპრილი, მარნეული);
- 3) პოლიტიკური პარტია „გირჩის“ აქცია იპოდრომზე, „საგანგებო მდგომარეობისა და მის პერიოდში გამოწერილი ჯარიმების გაუქმების მოთხოვნით“- (2020 წლის 23 აპრილი, თბილისი);
- 4) აქცია „ონისა და ნამახვანის ჰესების მშენებლობის ნებართვის გაუქმების მოთხოვნით“ - (2020 წლის 24 მაისი, თბილისი);
- 5) რეზო წულუკიძისა და ელდარ ანთაძის მხარდამჭერი აქცია - (2020 წლის 27 მაისი, ბათუმი);
- 6) პოლიტიკური პარტია - „ლელო საქართველოსთვის“ აქცია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ მერაბ ტურავას არჩევასთან დაკავშირებით - (2020 წლის 25 ივნისი, ბათუმი);
- 7) აქცია - „ერთად ოკუპაციის წინააღმდეგ“- (2020 წლის 20 ივნისი, თბილისი);
- 8) აქცია - „მაუწყებლის გადასარჩენად“ – (2020 წლის 26 ივნისი, ბათუმი);
- 9) გიორგი რურუას მხარდამჭერი აქცია - (2020 წლის 26 ივნისი);
- 10) აქცია - „წყლის მიწოდების მოთხოვნით“- (2020 წლის 4 ივლისი, რუისი);
- 11) აქცია კომუნალური გადასახადების სუბსიდირებასთან დაკავშირებით - (2020 წლის 13 ივლისი, გორი);
- 12) პოლიტიკური პარტია - „ქართული არჩევანის“ აქცია „სანტეს“ გენერალური დირექტორის წინააღმდეგ - (2020 წლის 20 ივლისი, თბილისი);
- 13) აქცია ცხოველთა უფლებების დაცვის მოთხოვნით - (2020 წლის 21 ივლისი, თბილისი);
- 14) აქცია - „ნუ მომკლავ, გამოიძიე დანაშაული“ – (2020 წლის 22 ივლისი);
- 15) „სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის“ აქცია ბოლო დროს გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების ეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით - (2020 წლის 23 ივლისი).
- 16) „ქართული მარშის“ აქცია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის აკრძალვის მოთხოვნით - (2020 წლის 30 ივლისი, თბილისი);
- 17) გიორგი რურუას მხარდამჭერი აქცია - (2020 წლის 30 ივლისი, თბილისი);
- 18) არასამთავრობო ორგანიზაციის „არა მკვლევებს“ აქცია შსს-სთან - (2020 წლის 10 აგვისტო, თბილისი).
- 19) აქცია - „არა ჰესებს“ - (2020 წლის 15 აგვისტო, გურია).

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, რაც დემოკრატიის პრინციპის ძირითად ელემენტს წარმოადგენს³. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ეს არის ინსტრუმენტული უფლება, რომელიც ამ უფლებით მოსარგებლე პირს (მისი პოლიტიკური, სოციალური, არტისტული, რელიგიური და ა.შ) გრძობებისა და შეხედულებების გამოხატვის შესაძლებლობას აძლევს⁴. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით კი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული შეკრების უფლება მოიცავს პროტესტის ისეთ ფორმასაც, რომელიც იწვევს იმ პირთა გაღიზიანებასა და შეურაცხყოფას, რომლებიც არ ეთანხმებიან იმ იდეებს, რომელთა პოპულარიზაციასაც აღნიშნული შეკრება ემსახურება⁵. მიუხედავად ამისა, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. ამ უფლების, ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლების სხვა ფორმების შეზღუდვა დასაშვებია კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის, სხვა კონსტიტუციური უფლებებისა და პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით.

ქართულ კანონმდებლობაში დეტალურადაა განსაზღვრული შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებით სარგებლობის პირობები⁶, მაგრამ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ უფლებასთან დაკავშირებული სირთულეები და პრობლემური საკითხები იჩენს თავს, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული უფლებით სარგებლობისას, კანონმდებლობა ირღვევა როგორც შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეთა, ისე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან. სამართალდამცავთა მხრიდან კანონმდებლობის დარღვევა, ძირითადად, უფლებამოსილების გადამეტებაში გამოიხატება⁷.

საბოლოო ჯამში კი, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით, შეკრების (მანიფესტაციის) თავისუფლების უფლება დემოკრატიული მმართველობის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობის და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს⁸.

³ იხ. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>.

⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“-, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“-, საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1309814?publication=0>.

⁵ იხ. European court of human rights, Plattform “Ärzte für das Leben” v. Austria, judgment of 21 June 1988, Series A no. 139, p. 12, § 32. <https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-57558>.

⁶ იხ. საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, 14.08.1997.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=16>.

⁷ იხ. „შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება“, GDI, 2018: <https://gdi.ge/uploads/other/0/672.pdf>.

⁸ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N2/482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 25.

1. დემონსტრანტების ქცევა აქციებზე

საჯარო ცხოვრებაში მანიფესტაციის უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობის გამო, სახელმწიფოს ეკისრება მთელი რიგი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს და არ დაუშვას მანიფესტაციის უფლებაში თვითნებური და უკანონო ჩარევა⁹.

=== | 7

საანგარიშო პერიოდში გამართულ 19 აქციაზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ აქციათა აბსოლუტური უმრავლესობა მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. გამონაკლის შემთხვევებში, დემონსტრანტთა ქმედებების მასშტაბი არ აღწევდა იმ ზღვარს, რაც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალურ საფრთხეს შექმნიდა. ზოგადი შეფასებით, დემონსტრანტების ქცევა იმგვარი ბუნებისა და ხარისხის იყო, რომ დემონსტრაციაში მათი მონაწილეობა ლეგიტიმური იყო როგორც ეროვნული კანონდებლობის, ისე ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების დაცვის სფეროშიც.

2. სამართალდამცველთა ქმედებები აქციებზე

საანგარიშო პერიოდში, აქციების გარკვეული ნაწილი სპონტანურად დაიგეგმა. ისეთი შეკრება როცა ტარდება, რომლის შესახებ პოლიციას წინასწარი შეტყობინება არ მიუღია, ადგილზე მისულმა პირველმა საპოლიციო დანაყოფმა თვითონ უნდა მიმართოს გარკვეულ ზომებს. ამ დანაყოფის უმთავრეს მიზანს მშვიდობიანი შეკრების ხელშეწყობა და სიტუაციის მაქსიმალურად სტაბილიზაცია უნდა წარმოადგენდეს¹⁰.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ისეთი ფაქტები, როდესაც პოლიცია, შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების საწინააღმდეგოდ, ახდენდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენების მუქარით აქციის მონაწილეთა დაშლას¹¹. კერძოდ, მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა დაშლა ძირითადად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა), 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისათვის დაუმორჩილებლობა)¹², ან გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობების დარღვევის საფუძვლებზე მითითებით ხდებოდა. მიზეზად კი, აქციის მონაწილეთა კორონავირუსის ინფექციისგან დაცვა სახელდებოდა¹³.

ერთ-ერთი აქციის მონიტორინგისას, დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც შეკრებაში მონაწილეებს ბუნებრივად დაშლის და პოლიციის ჩარევის გარეშე ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა არ მიეცათ. მაგალითისთვის, პოლიციამ ძალის გამოყენებით დააკავა ახალგაზრდა ქალბატონი, წაართვა მობილური ტელეფონი და იძულებით ჩასვა საპატრულო პოლიციის მანქანაში¹⁴. ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, თუ შეკრებას არავითარი ან მცირე ზეგავლენა აქვს

⁹ib. OSCE/ODIHR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, SECOND EDITION, §§ 165-16.

<https://www.osce.org/files/f/documents/4/0/73405.pdf>.

¹⁰ib. Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 96. <https://www.osce.org/files/f/documents/c/5/226981.pdf>.

¹¹ პოლიტიკური პარტია „გირჩის“ აქცია იპოდრომზე, „საგანგებო მდგომარეობისა და მის პერიოდში გამოწერილი ჭარბების გაუქმების მოთხოვნით“ - (2020 წლის 23 აპრილი, თბილისი). აქციაზე მისულ პირებს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები მოუწოდებდნენ, დაშლილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, დაჯარიმებით ან დაკავებით ემუქრებოდნენ.

¹²ib. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა), 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისათვის დაუმორჩილებლობა) მუხლები.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=465>.

¹³ პოლიტიკური პარტია „გირჩის“ აქცია იპოდრომზე, „საგანგებო მდგომარეობისა და მის პერიოდში გამოწერილი ჭარბების გაუქმების მოთხოვნით“ - (2020 წლის 23 აპრილი, თბილისი).

¹⁴ პოლიტიკური პარტია „გირჩის“ აქცია იპოდრომზე, „საგანგებო მდგომარეობისა და მის პერიოდში გამოწერილი ჭარბების გაუქმების მოთხოვნით“ - (2020 წლის 23 აპრილი, თბილისი).

სხვების უფლებებსა და თავისუფლებებზე ან ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე და თუ იგი უსაფრთხო ადგილზე მიმდინარეობს, მაშინ პოლიციამ ნება უნდა დართოს მონაწილეებს გააგრძელონ აქცია¹⁵. შესაბამისად, აღნიშნული პირის მიმართ ძალა არაპროპორციულად იყო გამოყენებული.

დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, აქციების მსვლელობის ადგილზე მისული სამართალდამცავები დემონსტრანტებს არ უქმნიდნენ თავიანთი მოთხოვნებისა და პროტესტის გამოხატვაში წინააღმდეგობას. ისინი უზრუნველყოფდნენ აქციების ჩატარების მშვიდობიან ხასიათს, იცავდნენ მონაწილეების უსაფრთხოებასა და დაცულობას, ხოლო მცირე არეულობის შემთხვევებში, უზრუნველყოფდნენ, ეს ქცევა სხვა მონაწილეებზე არ გავრცელდებოდა და ამას საფრთხე არ შეექმნა სხვა მონაწილეებისთვის¹⁶.

3. სამართალდამცავთა აუცილებლობა და პროპორციული რაოდენობა

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს აქვს როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ვალდებულებები. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, უზრუნველყოს შეკრებისა და მანიფესტაციის დაუბრკოლებლად, ექსცესების გარეშე მიმდინარეობა. ამასთან, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ადგილზე მყოფი პოლიციელების რაოდენობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვისთვის აუცილებელი და დემონსტრანტთა რაოდენობის პროპორციული უნდა იყოს. ასევე, პოლიციის მიდგომა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს და აქედან გამომდინარე ეს მიდგომები უნდა იყოს პროპორციული, აუცილებელი. ასევე, მათში სასურველი მიზნების მისაღწევად საჭირო მინიმალური საპოლიციო ქმედებები უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს პრინციპები გადაწყვეტილებების მიღების სრულ პროცესს უნდა ედოს საფუძვლად¹⁷. ხოლო შეკრება-მანიფესტაციის დაშლის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფომ პროპორციული ზომები უნდა გამოიყენოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძალოვანმა სტრუქტურებმა შეკრების დაშლის ოპერაცია უნდა განახორციელონ, ოპერაცია უნდა შემუშავდეს ისე, რომ აქციის მონაწილეებისადმი ზიანის მიყენების რისკი მინიმუმამდე დავიდეს¹⁸.

პროპორციულობის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ აქციების უმრავლესობაში, სამართალდამცავთა რაოდენობა პროპორციულად იყო წარმოდგენილი. თუმცა, საპროტესტო აქციების მონიტორინგმა, ზოგიერთი აქციის შემთხვევებში, აღრიცხეს ისეთი ფაქტები, როდესაც შეკრების ადგილზე მობილიზებული სამართალდამცავების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა აქციის მონაწილეთა რაოდენობას. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია „არა მკვლელებს“ აქციაზე შსს-სთან (2020 წლის 10 აგვისტო, თბილისი), დაახლოებით 8-10 დემონსტრანტი იყო. იმავედროულად ადგილზე მობილიზებული იყო 6-მდე სამართალდამცავი. ასევე, პოლიტიკური პარტია „გირჩის“ აქციაზე, იპოდრომზე, რომელიც გაიმართა საგანგებო მდგომარეობისა და მის პერიოდში გამონერვილი ჯარიმების გაუქმების მოთხოვნით (2020 წლის 23 აპრილი, თბილისი) იმყოფებოდა 20-მდე დემონსტრანტი. იმავედროულად ადგილზე 10-მდე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი იდგა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელების დამოკიდებულება აქციის მონაწილეების მიმართ იყო ნეიტრალური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სამართალდამცავთა

¹⁵ob. Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 98. <https://www.osce.org/files/f/documents/c/5/226981.pdf>.
¹⁶აქცია პროტესტების რეალიზაციისა და შეზღუდვების მოხსნის მოთხოვნით - (2020 წლის 22 აპრილი, მარნეული).
¹⁷ob. ob. Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 36. <https://www.osce.org/files/f/documents/c/5/226981.pdf>.
¹⁸ob. Makaratzis v. Greece, Application No. 50385/99, 2004. <https://www.asylumlawdatabase.eu/sites/default/files/aldfiles/CASE%20OF%20MAKARATZIS%20v.%20GREECE.pdf>.

არაპროპორციული რაოდენობა წარმოადგენს პრობლემას, ვინაიდან, დიდია ალბათობა, ამან არსებითი გავლენა იქონიოს აქციის მონაწილეთა გამოხატვის თავისუფლების უფლების სრულყოფილად რეალიზებასა და ღონისძიების განხორციელებაზე.

დასკვნა

2020 წლის საანგარიშო პერიოდში გამართული აქციების მონიტორინგის ანგარიშების შეფასების, იდენტიფიცირებულ სამართალდარღვევათა ანალიზის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ აქციების უმრავლესობაში, მეტწილად, დაცული იყო შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლების უფლება და შესაბამისი სტანდარტები.

რიგ შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორთა მიერ იდენტიფიცირებულ შემთხვევათა შორის, დაფიქსირდა არაპროპორციული ძალის მობილიზების, დაკავებისა და დაჯარიმების მუქარით დაშლის მოთხოვნებიც.

საბოლოო ჯამში, აქციების უმეტესობა ატარებდა მშვიდობიან ხასიათს. ამასთან, როგორც დემონსტრანტთა, ისე სამართალდამცავთა ქმედებებიც ლეგიტიმური იყო და ექცეოდა როგორც ეროვნული კანონდებლობის, ისე ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების ფარგლებში.